საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი 2024 წ.

ბრძანება №01-08/51

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-7 პუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ პირველი მუხლის, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 30 ივლისის №05-01/01, №05-01/02 და №05-01/03 გადაწყვეტილებების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების ნაცვლად, საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტიდან ახალი წევრების (3 სტუდენტი) არჩევის მიზნით, დაინიშნოს არჩევნები 2024 წლის 07 ოქტომბერს.

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში 2024 წლის 24 სექტემბრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა, შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ.№19/32, ოთახი №103.

3. კანდიდატებმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ პასპორტი) ასლი;

გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ.

4. ბხსუ-ს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს ამომრჩეველთა სიების წარდგენა საარჩევნო კომისიაში 2024 წლის 02 ოქტომბრის ჩათვლით („სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ მე-19 მუხლის შესაბამისად).

5. ბხსუ-ს საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

6. ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **თ. კეჟერაძე**